ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ კოვიდ-19 ინფექციის წინააღმდეგ

2020 წელი 26 სექტემბერი

მოგესალმებით, მოგახსენებთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში ინფექციის გავრცელების დღეიდან. მცირე ზოგადი ექსკურსი რომ გავაკეთოთ ამჟამად მსოფლიოში ასევე ჩვენს რეგიონში კორონავირუსულ ინფექციასთან დაკავშირებით დაძაბული ვითარებაა, პანდემია გრძელდება, ჯერერობით უკუსვლა არ აღინიშნება, ვირუსის გავრცელების მონაცემები არ ემორჩილება კლების ტენდენციას, ინფექცია მწვავედ მიმდინარეობს ფართოვდება მაშტაბები.

ამ მხრივ განსაკუთრებული აქცენტი რომ გავკეთოთ ჩვენს ქვეყანაზე საქართველოში 6192 პირია დაინფიცირებული, გარდაცვლილი 36 ადამიანი, გარდაცვალების მაჩვენებელია 0,6 %

მარტის თვიდან დღემდე თვითიზოლაციაში გვყავდა 210 პირი, ჯერ საზღვარგარეთის ქვეყნებში მოგზაურობის მქონე პირები, საერთაშორისო გადაზიდვების მძღოლები, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც დაბრუნდნენ ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზების გამო, ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში გაჩნდა ეპიდაფეთქების კერები მარნეული, ბოლნისი, სვანეთი, აჭარა ეპიდკონტროლი გადავიდა ამ რეგიონებიდან დაბრუნებულ მოქალაქეებზე, საკარანტინე სივრცეში გადავიყვანეთ 3 პირი დანარჩენი დარჩა ჩვენი კონტროლის ქვეშ, ყველა ამ გამოწვწვას წარმატებით გავართვით თავი, მოგეხსენებათ ადავილი არ არის ადამიანების გამოკეტვა სახლში ამ პროცესებს ბევრი სირთულე ახლდა თან, ჩვენი რეიდები ტარდებოდა პოლიციასთან ერთად, რისთვისაც მათ კიდევ ერთხელ გადავუხდი მადლობას.

ჩვენი უშუალო ჩარევით, სხვადასხვა ქალაქების საკარანტინე სივრცეებიდან გადმოვიყვანეთ ჩვენი მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებსაც ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეეძლოთ კარანტინში დაყოვნება, ჩვენს მიერ შემოწმდა მათი საცხოვრებელი პირობები თუ აკმაყოფილებდა შესაბამის მოთხოვნებს ვაყენებდით წინადადებას მათი თვითიზოლაციაში გადმოყვანის შესახებ, რაც უმეტეს შემთხვევაში კმაყოფილდებოდა. ასეთი იყო 21 პირი.

მაისის თვიდან დავიწყეთ პსრ ტესტირებების ჩატარება, გადამზადებული იქნა 3 პირი, მათ შორის მეც და დღემდე ჩატარებული გვაქვს ჩვენს მუნიციპალიტეტში 1551 პსრ ტესტირება, რომელიც ეხებოდა ჯერ დაავდებათა კონტროლის მიერ შერჩეულ რისკ ჯგუფებს, რისკ ჯგუფებში შედის საამავმყოფოს ემერჯენსის თანამშრომლები, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პაციენტთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამშრომლები, პირველადი ჯანდაცვის მუშაკები, პოლიციის და საპატრულო პოლიციის, სამშველოს თანამშრომლები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პერსონალი, რომელთა ტესტირება მიმდინარეობს ყოველ 14 დღეში ერთხელ გეგმიურად, ასევე კლინიკებში ცხელებით მიყვანილი პაციენტები

რომლებმაც მიმართეს თვითდინებით ან გადაყვანილ იქნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების მიერ.

კორონავირუსის პანდემიის პერიოდში სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის მიზნით გადამზადა სამედიცინო პერსონალი, ამჯერადაც გრძელდება სასწავლო ტრენინგი, პროტოკოლები. ჩვენთან შეთანხმებით იგეგმება შემდგომი სტრატეგია კლინიკების ადმინისტრაციის და პერსონალის, ასევე, სასწრაფო დახმარების და ოჯახის ექიმების პერსონალის მხრიდან ცხელებით მიმდინარე პაციენტებთან მიმართებაში ყველა სახის მოქმედების შესახებ.

რაც შეეხება ჩვენს მუნიციპალიტეტს ჩვენ სექტემბრის თვემდე დაინფიცირებული პირი არ გვყოლია, ჩვენთან დაავადება შემოვიდა აჭარის რეგიონიდან, მოგეხსენებათ ბოლო პერიოდში შემთხვევის ზრდა დაიწყო აჭარის რეგიონიდან, რაც უკავშირდებოდა საკურორტო ზღვის სეზონს, აჭარის რეგიონი გამოირჩევა ვიზიტორთა დიდი რაოდენობით, აღინიშნება ხალხმრავლობა ყველა კვების ობიექტებში, სადაც რა თქმა უნდა ადამიანების მხრიდან არ ხდება იმ აუცილებელი რეკომენდაციების დაცვა, რასაც ქვია პირბადის ტარება ან სწორად ტარება, სოციალური დისტანციის დაცვა, უფრო მეტიც აღინიშნა ხალხმრავალი სოციალური თავშეყრის შემთხვევები ქორწილები ქელეხები, ყველაფერ ამის მიზეზია ის რომ ქვეყანაში კოვიდ ინფექცცის შემთხვევების მკვეთრი მატება აღინიშნა. ჩვენს მუნიციპალიტეტში ამჟამად დაავადებულთა რაოდენობაა 11 პირი, მათ შორის 9 არის აქტიური შემთხვევა ანუ მათი მკურნალობა გრძელდება, გამოჯანმრთელებულია 2 ადამიანი, მათ შორის 3 თვის ბავშვი.

სექტემბრის თვიდან დაგვეწყო შემთხვევები, შემთხვევებთან ერთად დავიწყეთ კონტაქტების მოძიება და მათი ტესტირება, მოძიებული გვყავს 100 ზე მეტი კონტაქტირებული პირი, კონტაქტებს შორის დაგვიდასტურდა 3 შემთხვევა, სასწავლო პროცესის დაწყებასთან ერთად მოგვეწოდა განათლების და ჯანდაცვის სამინისტროების მიერ შემუშავებული ერთობლივი სიების მიხედვით დავიწყეთ იმ პედაგოგების და მოსწავლეების ტესტირება, რომლებიც დასასვენებლად იმყოფებოდნენ აჭარის რეგიონში, პედაგოგებს შორის აღმოჩნდა 2 დადებითი პირი, სოფელ ზოტის და სოფელ ჩხკაურას საჯარო სკოლის პედაგოგები, ისინი ახლაც გადიან მკურნალობას კოვიდ ცენტრებში.

6 სექტემბერს მთლიანად სოფელ ქვენობანში ჩატარდა გაფართოებული ტესტირება 5 ბრიგადის მიერ, ჩოხატაურის მსჯც 2 ბრიგადა, ოზურგეთის ლსს 1 ბრიგადა, ლანჩხუთის მსჯც 1 ბრიგადა და ქუთაისის ზდლ 1 ბრიგადა, განთავსება მოხდა სოფლის 5 ლოკაციაზე პოლიციის და მერიის დახმარებით სულ გამოკვლეული იქნა 378 ადამიანი, რომელთა პასუხები უარყოფითია.

20,21.22 სექტემბერს ჩატარადა ასევე გაფართოებული ტესტირება სოფელ ზოტსა და სოფელ ჩხაკაურაში, სულ აღებული იქნა 300 მდე ნიმუში.

მე, როგორც ეპიდემიოლოგს, გაწეული მაქვს 2000 ზე მეტი სატელეფონო კონსულტაცია ადამიანებთან სხვადასხვა საკითხებზე. გუბერნიის მიერ მე როგორც ეპიდემიოლოგი და ჩემი ნიმუშების ამღები 2 ჯგუფი გაგზავნილი ვიყავით სამუშაოდ სოფელ ლაითურში პოსტზე, სადაც გავტესტეთ სოფლიდან გამომსვლელი პირები და სოფლის მცხოვრებლები, ვიმუშავეთ და მოვიძიეთ აჭარა ტესტილში მომუშავე პირები ნარუჯაში, ბახვში, დვაბზუსა და ნაგომარში და ჩავატარეთ მათი ტესტირება, აღმოვაჩინეთ 5 დადებითი პირი.

მოგესხენებათ ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ჩვენს ქვეყანაში იწყება გრიპის სეზონი, რაც გაართულებს ქვეყანაში სიტუაციას, რადგან გრიპის და კოვიდის სიმპტომები ხშირად იდენტურია, ლაბორატორიული დადასტურების გარეშე რთული იქნება დიფერენცირება რომელ ინფექციასთან გვაქვს საქმე, მაგრამ წელს სახელმწიფოს მხრიდან გაიზარდა შეძენილი გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა, შესაბამისად ჩვენს გასულ წელთან შეადრეებით მივიღებთ უფრო მეტი რაოდენობით, აიცრებიან მედიცინის მუშაკები, დიაბეტის მქონე პირები, პანსიონერები, ბაღის პედაგოგები, სკოლის პადაგოგები და სხვა რისკ ჯგუფები.

ამ ეტაპზე ვაკონტროლებთ სიტუაციას და ასე უნდა გავაგრძელოთ. ყველა გამოწვევას უნდა შევხვდეთ ღირსეულად. აუცილებელია თითოეულ შემთხვევაზე მოხდეს სწრაფი რეაგირება, ოპერატიული მუშაობა და სწორი ნაბიჯების გადადგმა, საზოგადეობრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობა.

რაც შეეხება ჩვენს პრობლემებს, ტრანსპორტი გამოსულია მწყობრიდან, რაც სერიზული პრობლემაა ჩვენი სამსახურისთვის, ძალიან დაბალია ხელფასები, რომელიც უნდა გაიზარდოს 50% ით მაინც, შენობა სადაც ვართ განთავსებული ექვემდებარება აუცილებელ სარემონტო სამუშაოებს.